ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 156

ქალაქი ქუთაისი 28 მარტი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრების წარდგენის სისწორის შემოწმების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2024 წლის 28 მარტს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“** მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:

„**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება. გამომდინარე აქედან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **ჯუღელი თეა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **ლილუაშვილი პაატა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **მახარაძე ბაქარ,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
მას. № 35
26. 03 2024 წ.

4. მხეიძე დიმიტრი, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

5. ბასილაძე გია, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

6. ქებულაძე ბექა, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

7. მესხი თედო, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ მიერ;

8. ქვაჩაკიძე რომან, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ მიერ.

9. გაბუნია კახაბერ, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

10. არველაძე ხათუნა, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

11. შალამბერიძე ლაშა, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 მარტის 55-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის) “

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია